პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 244 (4754)

1972 წ. 12 დეკემბერი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში, „ლოკომოტივის" სტადიონზე, ორ დღეს გაგრძელდა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირი მშვილდოსნობაში, რომლის თაოსანიც ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტი იყო. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ მასპინძლების, ბაქოს (2-2), ერევნის, ხარკოვის, ლვოვისა და ბათუმის კოლექტივები. ყველას თბილისის პირველმა გუნდმა აჯობა.

• • •

სურათზე: ცეცხლის ხაზზე არიან ქალები.

თ. გელაშვილის ფოტო.



## ტელეფონით

# დასვენება და... ჭადრაკი

ვრნიაჩკა-ბანიიდან, სადაც ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის IV გათამაშება მიმდინარეობს, მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი გვატყობინებს:

— შაბათს ტურნირის მონაწილეებს დასვენების დღე გვქონდა, მაგრამ მაინც ჭადრაკი ვითამაშეთ. მასპინძლებმა მოაწყვეს ბლიც-ტურნირი, რომელსაც 18 მონაწილე ჰყავდა: 10 ქალი ჩვენი ტურნირიდან და 8 ადგილობრივი მოჭადრაკე ვაჟი. I ადგილი მე მხვდა — 14,5 ქულა, III — ვერეცის — 12,5, IV — ალექსანდრიას — 12. II ადგილი მოჭადრაკე ვაჟმა რბილიჩმა დაიკავა.

გუშინ VI ტურით თასისთვის ბრძოლა განახლდა. პოლიქრონიადემ (რუმინეთი) წააგო პიხაილიჩთან (იუგოსლავია), ერენსკამ (პოლონეთი) მოუგო ვეტშტაინს (შვეიცარია). ოთხი პარტია გადაიდო: ვერეცი უგებს მერლინის (საფრანგეთი), ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია)—კონარკოვსკა-სოკოლოვას (იუგოსლავია). ყაიმია მოსალოდნელი ალექსანდრია — ივანკას (უნგრეთი) შეხვედრაში. მე ზედმეტი პაიკი და მოგების შანსი მაქვს ტიმერთან (ჰოლანდია).

მეექვსე ტურს ლიდერთა განლაგებაში რაიმე ცვლილება არ შეუტანია: ვერეცის ისევ 5 ქულა აქვს, მე — 4,5.

11 დეკემბერი.

# შაბათს...

ბაქოში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა მე-40 ჩემპიონატში შაბათს გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო. რ. ჯინჯიხაშვილმა (თბილისი) ყაიმით დაამთავრა პარტიები გ. სავონთან (ხარკოვი) და ი. რაზუვაევთან (მოსკოვი). ე. გუფელდი (თბილისი) ყაიმზე შეუთანხმდა ი. ბალაშოვს (მოსკოვი), რაზუვაევი — ქ. გრიგორიანს (ერევანი), ა. ლეინი (მოსკოვი) — ვ. ჟიდკოვს (კიევი). ა. კაპენგუტმა (მინსკი) და ლ. შამკოვიჩმა მოუგეს რ. ხოლმოვს (ორივე — მოსკოვი).

მ. ტალმა (რიგა) ყაიმით დაამთავრა ვ. ტუკმაკოვთან (ოდესა) XV ტურში გამოტოვებული პარტია.

15 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: მ. ტალი — 9,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ე. ვასიუკოვი (მოსკოვი), მ. მუხინი (ალმა-ათა) — 9-9, ა. ლეინი, გ. სავონი — 8,5-8,5, ვ. ტუკმაკოვი — 8 (1), ი. ბალაშოვი, ვ. ბაგიროვი (ბაქო), გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი), ი. რაზუვაევი — 8-8, ს. ფურმანი (ლენინგრადი), რ. ჯინჯიხაშვილი, ლ. შამკოვიჩი — 7,5-7,5, ვ. ზილბერშტეინი (ორსკი), ა. კაპენგუტი — 7-7, ქ. გრიგორიანი, რ. ხოლმოვი — 6,5-6,5, დ. ბრონშტეინი (მოსკოვი), ვ. ჟიდკოვი, ნ. რაშკოვსკი (კურგანი) — 6-6, ლ. ალბურტი (ოდესა), ე. გუფელდი — 5,5-5,5.

# გამარჯვებულთა ტრიუმვირატი

სან-ანტონიო, 11 დეკემბერი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში I-III ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა კარპოვმა, პეტროსიანმა (ორივე — სსრ კავშირი) და პორტიშმა (უნგრეთი). მათ 10,5-10,5 ქულა დააგროვეს.

ბოლო, XV ტურში კარპოვი მე-9 სვლაზე დაუზავდა მეკინგს, ხოლო პეტროსიანი მე-11 სვლაზე — სათლზს. პორტიშმა კი 34-ე სვლაზე მოუგო ლარსენს და ლიდერებს დაეწია.

ყაიმით დამთავრდა კერესის შეხვედრა კაპლანთან. საბჭოთა დიდოსტატი ჯერჯერობით IV ადგილზეა (9,5 ქულა). რამდენიმე პარტია დაუმთავრებელი დარჩა და კერესს შეიძლება გაუსწროს კიდევ გლიგორიჩმა, რომელსაც 9 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

# წინაა კორჩნოი

პალმა-დე-მალიორკა, 11 დეკემბერი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირს სათავეში ჩაუდგა კორჩნოი, რომელმაც XI ტურში მედინა დაამარცხა და ახლა 8 ქულა აქვს.

ყაიმით დამთავრდა პარტიები: ანდერსონი — გეორგიუ, ჰუგი — ლიუბოევიჩი, კალვო — პომარი.

დანარჩენი პარტიები (მათ შორის, ბილეკი — პოლუგაევსკი და პანო — ავერბახი) გადაიდო.

კორჩნოის კვალში მისდევენ ანდერსონი, გეორგიუ და სმეიკალი — 7-7 ქულა. ავერბახს 6,5 ქულა აქვს, პოლუგაევსკის — 6.

ჭადრაკი



სურათზე: სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 1972 წლის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი მარტა შული (ლვოვი). 23 წლის ინჟინერ-მათემატიკოსმა ტოლიატიში ახლახან დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატში 10 პარტია მოიგო, 4 ყაიმით დაამთავრა და 5 წააგო. გაისად შული პირველად ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატის საზონათშორისო ტურნირში.

ა. გრიგორიევის ფოტო (საკდესი).

# იაპონიიდან თასები მიაქვთ

ტოკიო, 9 დეკემბერი. იაპონიის დედაქალაქის ერთ-ერთ უდიდეს სპორტდარბაზში „ბუდოკაკში" დაიწყო ექვსი ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა მესამე, დასკვნითი შეხვედრა. ოლიმპიური ჩემპიონი ლ. ტურიშჩევა პირველი იყო ძელზე (9,65 ქულა) და თავისუფალ ვარჯიშში (9,75). პირველი დღის შემდეგ II ადგილზე არიან ლ. ბურდა და ნ. დრონოვა—19,10-19,10.

კვლავ ბრწყინვალე შთაბეჭდილება მოახდინა ნ. ანდრიანოვმა. იგი პირველი იყო რგოლებზე (9,60) და ხტომაში (9,50), ხოლო ორძელზე II ადგილი დაიკავა (9,40) იაპონელი ფ. ხომის (9,45) შემდეგ.

სამი სახეობის შემდეგ ლიდერობს ანდრიანოვი — 28,50. იაპონელმა ე. კენმოცუმ 28,12 ქულა მოაგროვა, მ. ცუკაჰარამ (იაპონია) — 27,85. ვ. მჩუკინი IV ადგილზეა (27,70), მ. მიქაელიანი კი VII — 26,30.

ტოკიო, 10 დეკემბერი. ექვსი ქვეყნის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა დასკვნითს შეხვედრაში ანდრიანოვმა დღესაც გამოიჩინა თავი. ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ვარჯიშში ახლაც საუკეთესო იყო — 9,55 ქულა მიიღო. ტაიჭზე მან ასეთი შედეგით გაიმარჯვა — 9,45. ძელზე ანდრიანოვმა V ადგილი დაიკავა — 9,25. შედეგად მან ქულათა საუკეთესო ჯამი (56,75) მოაგროვა და დაისაკუთრა „ტიუნიტის" თასი, რომელიც ეს უკვე მესამედ გათამაშდა (შარშან ამ თასზე შეჯიბრებაში ანდრიანოვმა V ადგილი დაიკავა, მაშინ სამი პირველი ადგილი ფიცარნაგის მასპინძლებს დარჩათ).

II ადგილზეა კენმოცუ — 55,975, III — ცუკაჰარა — 55,80. მჩუკინი IV ადგილზეა — 55,05, მიქაელიანი კი VII — 53,60.

ტურიშჩევამ დღესაც ორივე სახეობაში I ადგილები დაიკავა: ხტომაში 9,80 ქულა მიიღო, ორძელზე — 9,70 და ჯამმა (38,90) გამარჯვება მოუტანა. ოლიმპიური ჩემპიონი „ტიუნიტის" თასს გროზნოში წაიღებს.

14 წლის თბილისელი მოსწავლე დრონოვა, რომელმაც ეს თასი 1971 წელს მოიპოვა, შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ ბურდასთან II ადგილს იყოფდა. დღეს მას ხტომაში მეოთხე შედეგი ჰქონდა — 9,50, მაგრამ დაშავდა და ორძელზე აღარ გამოსულა. ბურდას ორძელზე ხელი მოეცარა (8,95) და VI ადგილი ხვდა.

საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა გდრ-ის წარმომადგენელი კ. იანცი — 38,40. მესამე იყო ამერიკელი ჯ. მური — 37,95.

შეჯიბრების შემდეგ საკდესის კორესპონდენტმა მოკლე ინტერვიუ სთხოვა სახელგანთქმულ ტანმოვარჯიშეს ა. აზარიანს, რომელიც იაპონიის სამივე ქალაქში ამ საერთაშორისო შეხვედრაზე მსაჯად იყო მიწვეული, აგრეთვე, საბჭოთა სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელს ი. ტიტოვს.

— ჩემს საყვარელ რგოლებზე ძალიან მომეწონა ნაკაიამაც და ანდრიანოვიც, რომლებსაც სტაბილური შედეგები აქვთ ყველა სხვა იარაღზეც, — თქვა აზარიანმა.

— საბჭოთა და იაპონელ ტანმოვარჯიშეთა შეხვედრები, — აღნიშნა ტიტოვმა, — ძალიან სასარგებლოა ორივე ქვეყნის სპორტსმენებისთვის. წლევანდელმა შეჯიბრებებმა ცხადყო, რომ საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს თამამად შეუძლიათ უძლიერესებთან თანაბარი ბრძოლა. ანდრიანოვის მაგალითი ამას ნათლად ადასტურებს. საგრძნობლად დასტაბდა მჩუკინიც.

მ. დემჩენკო.

# სპორტლოტო

# 34-ე...

10 დეკემბერს ყაზანში „სპორტლოტოს" 34-ე ტირაჟი მოეწყო. ამჯერად იღბლიანი აღმოჩნდა შემდეგი ნომრები: 1 (ავიასპორტი), 7 (ბიატლონი), 14 (ფრენბურთი), 25 (ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა), 31 (ცურვა), 47 (ბურთიანი ჰოკეი).

„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოში უამრავი წერილი შემოდის. გვთხოვენ დავუსახელოთ თბილისის შემნახველი სალაროები, სადაც „სპორტლოტოს" მოგებას ანაზღაურებენ.

ცენტრალური შემნახველი სალაროს გარდა, მოგებული ფული შეგიძლიათ მიიღოთ №№ 3529 (პლეხანოვის პრ. № 154), 3523 (პლეხანოვის პრ. № 90), 3528 (ლესელიძის ქ. № 4), 3522 (ოქტომბრის ქ. № 105), 3524 (შაუმიანის ქ. № 10) რაიონულ შემნახველ სალაროებში.

გარდა ამისა, მოგებას ანაზღაურებს I თანრიგის ყველა შემნახველი სალარო.

ი. ლობატკინი, „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს ინსტრუქტორი.

სპორტი მოგვითხრობს

წერილმა გზად გვიხმო...

# წუნი

ცნობილი ამბავია: წინდახედული მეურნე საქმეს უთუოდ მიზანს შეუფარდებს. არ გადადებს ხვალისთვის, რისი გაკეთებაც დღესაა აუცილებელი. ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში ეს მას შემდეგ გაახსენდათ, რაც რედაქციაში მიღებულ ბარათში მოყვანილი ფაქტების ადგილზე შესასწავლად ჩავედით.

სექტემბრიდან სტუდენტთა ფიზიკური აღზრდის დიდმნიშვნელოვანი საქმე თვითდინებით მიდის. ფერხდება სპორტული მუშაობა. მაგრამ სამხრეთ ოსეთის სამშენებლო-სარემონტო კონტორის (უფროსი ს. ცხოვრებოვი) მუშაკებს ეს ყველაზე ნაკლებად ადარდებთ. დოკუმენტით, რომელიც მათს ხელთაა, სარემონტო სამუშაოები ინსტიტუტში წლის ბოლომდე უნდა დამთავრდეს. მშენებლებიც არ ჩქარობენ, დინჯად, სერიოზული სახით დააბიჯებენ ობიექტიდან ობიექტზე. დარბაზიც მათს მოლოდინში გამოკეტილია. ქაღალდი ყველაფერს იტანსო, ნათქვამია...

- სტუდენტთა ფიზიკური აღზრდა თვითდინებაზეა მიშვებული
- მშდ კომპლექსის ანბანსაც არ გასცნობიან
- სიყალბისკენ რატომ უბიძგებენ?

ინსტიტუტში ერთი შეხედვით საგანგაშო მართლაც არაფერია. გეგმებსა და ცხრილებში წინ მიიწევს სასწავლო პროგრამა. უდანაკარგოდ სრულდება მასწავლებელთა დატვირთვის საათები, გადის თვეები, იწერება უწყისები და... მოდის ხელფასი. ისე, საქმე თურმე რიგიანად აქ არც დარბაზის გამოკეტვამდე ყოფილა. ერთდროულად ორი, ზოგჯერ სამი კურსი აწყდებოდა ფიზაღზრდის „აუდიტორიას" (რა თქმა უნდა, ცხრილით, პროგრამის ათვისების მოტივით. საბედნიეროდ, ასეთი დამთხვევები სხვა აუდიტორიებსა და კაბინეტებში არაა) და იწყებოდა ნამდვილი ორომტრიალი. ერთი ნაწილი ფრენბურთს რომ თამაშობდა, მეორე იჯდა და თავის ჯერს ელოდა. მერე როლები იცვლებოდა. გვითხრეს სექტემბრიდან მეცადინეობას სტადიონზე ვატარებთო. მაგრამ ვითომ სექტემბრიდან მართლა სულ მზიანი დღეები იყო?

სხვა რომ არაფერი, ყურადღება არ ექცევა ტანვარჯიშს, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ფიზაღზრდის სპეციალისტის მომზადება, თანაც, არსებული წესით, ამ სახეობაში სასწავლო ჯგუფების შექმნა (ცურვასთან ერთად) უმაღლესი სკოლის ყველა ფაკულტეტისთვისაა სავალდებულო.

დაზგასთან რომ დგას, მუშა პასუხს აგებს პროდუქციის ხარისხისთვის. მის ნახელავს წუნმდებელი ამოწმებს. ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში კი ფიზაღზრდის ლექტორ-მასწავლებლების მუშაობის ავ-კარგი დღემდე არავის შეუმოწმებია.

იქ ვინ აგებს პასუხს წუნისთვის?

ვერ ვიტყვით, რომ ფიზაღზრდის (გამგე შ. ტრანკაშვილი), ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის (გამგე გ. სანაკოევი) კათედრებზე საქმის გაძღოლა უნარიან და ცენზიან სპეციალისტებს არ მქონდეთ მინდობილი, მაგრამ მათ არც პირობები აქვთ შესაფერი, არც საშუალებები. ასე კათედრები მუშაობას სათანადოდ ვერ გაშლიან.

სასურველ დონეზე არც სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკა დგას.

არადამაკმაყოფილებელია სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს საქმიანობა. ჯეროვნად არ ხორციელდება ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე ზემდგომი ორგანოების დადგენილებები და გადაწყვეტილებები. პედაგოგები „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის დებულების ბევრ საკითხში ვერ ერკვევიან. მაისში რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ მშდ კომისიას სამუშაო გეგმა არა აქვს. დღემდე ამ კომისიას არც ერთი სხდომა არ ჩაუტარებია. დებულებით, აღრიცხვისთვის პასუხისმგებელი პიროვნების გამოყოფა რომ არის საჭირო, არც ის იციან. თავისებურად შეუდგენიათ ნორმატივების მიღების ოქმებიც (დებულება სპეციალური ფორმის დაცვას მოითხოვს). ვფურცლავთ კომპლექსის საბუთებს და არ გვინდა დავიჯეროთ, რომ აქ, უმაღლესი სასწავლებლის ფიზაღზრდის კათედრაზე, შეიძლება რაიმე სიყალბეს წააწყდე. სამწუხაროდ, ფაქტებს გვერდს ვერ აუვლი. ბევრი სტუდენტისთვის ნორმატივები, განსაკუთრებით ცურვაში, ყალბად ჩაუთვლიათ. ზოგიერთ ოქმს კომისიის წევრები ხელს არ აწერენ. კათედრის წევრებმა ალბათ შვებით ამოისუნთქეს, როცა 94 მომავალი ფიზაღზრდის სპეციალისტიდან 89-მ მთლიანად „ჩააბარა" კომპლექსი. რატომ უბიძგებენ პედაგოგები სტუდენტებს, ხვალინდელ სპეციალისტებს სიყალბისკენ?

სხვადასხვა ფაკულტეტის 600-ზე მეტი სტუდენტიდან დღემდე 10 პროცენტსაც არ ჩაუბარებია კომპლექსის ნორმატივები. პროფესორ-მასწავლებლები კი ჯერ ამ კომპლექსის ანბანსაც არ გასცნობიან.

ახლა აუდიტორიაშიც შევიაროთ. IV კურსის სტუდენტებთან ლექციას ჩვენც ვესწრებით, რომელსაც გ. სანაკოევი ატარებს. ფიზიკური აღზრდის ისტორიაში 23-ის ნაცვლად მერხებს 10 სტუდენტი უზის. სექტემბრიდან ამ კურსთან 80-მდე მეცადინეობა უნდა ჩატარებულიყო, ჟურნალში კი ლექტორის 21 ხელმოწერაა.

კარგად გვახსოვს თავის დროზე რა დავა გამოიწვია ცხინვალში და რესპუბლიკის სხვა პედაგოგიურ სასწავლებლებში ფიზაღზრდის ფაკულტეტების გახსნის საკითხმა. ცხადია, ასეთი ფაკულტეტების გახსნა აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, მაგრამ ყველგან რომ არ არის სათანადო პირობები მათი მუშაობისთვის? ცხინვალი გამონაკლისი როდია.

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ცხინვალი.

# ლელობურთის შემდგომი პროგრესისთვის

წერილმა „ასე თამაშობდნენ ლელოს წინათ" („ლელო", № 182) ნათლად წარმოგვიდგინა სურათი, თუ როგორ თამაშობდნენ ლელობურთს უწინ... მართლაც გული მოუკვდება მაყურებელს, როცა იგრძნობს, „რომ ამ თამაშს აკლია ის სიდიადე, გრანდიოზულობა და პეწი, რითაც ცნობილი იყო წინათ".

ჩვენმა სპორტის მესვეურებმა, მათ შორის, რესპუბლიკურმა სპორტკომიტეტმა, ბევრ ღონისძიებას მიმართეს ამ თამაშის გადასარჩენად. ბევრ რაიონში ლელობურთი სავალდებულო სახეობად დამტკიცდა, რეგულარულად ეწყობა რესპუბლიკური ჩემპიონატები. მაგრამ ყოველივე ეს უკმარია და ისმება ბუნებრივი კითხვა: ნუთუ ლელობურთი კვდება, ნუთუ არ შეიძლება მისი განკურნება? ჩვენში ხომ სულ ორ-სამ რაიონში მისდევენ ახლა ამ სახეობას.

ვფიქრობ, უინტერესო არ იქნება რეგბისტების აზრი ლელობურთზე.

დოც. ა. ციბაძე თავისი წერილის ერთ ადგილას ამბობს: „ზოგჯერ ქართველ მობურთალეთა შორის გამოჩნდებოდნენ ხოლმე ინგლისელი მეზღვაურები". მაგრამ საიდან იცოდნენ ინგლისელებმა ლელობურთის თამაში, ან რატომ იტაცებდა იგი მათ?

ალბათ მკითხველებმა იციან, რომ იმავე პერიოდში ინგლისში მეტად პოპულარული იყო რეგბი. ამ ქვეყანაში რეგბის წესები შემუშავდა 1828 წელს, კონკრეტულად დადგინდა თამაშის მონაწილეთა რაოდენობა, მაგრამ მანამდე, ისევე როგორც ჩვენში ლელობურთის თამაშის დროს, ინგლისურ რეგბიშიც მთელი სოფლები და ქალაქები მონაწილეობდნენ. მცირე ისტორიული ექსკურსიც კი საკმარისი იქნება, რომ რეგბისა და ლელობურთს შორის საოცარი მსგავსება ვიპოვოთ. მათი ანალოგიურობა ამტკიცებს აზრს, რომ ამ ორივე თამაშს ერთი წინაპარი ჰყავდა.

მაგრამ რატომ მოხდა, რომ რეგბი დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თამაშია მსოფლიოში, ლელობურთი კი ასეთ სავალალო მდგომარეობაშია?

ჩვენი აზრით, მას შემდეგ, რაც რეგბი წმინდა სპორტული თამაში გახდა (და არა მხოლოდ სახალხო-სპორტული გასართობი), სათამაშო ასპარეზი შემოიფარგლა, დადგინდა მოთამაშეთა რაოდენობა, ახალი პირობების მიმართ ეს თამაში უფრო მოქნილი აღმოჩნდა — დროის სწრაფ სვლას ალღო აუღო, ფეხდაფეხ გაჰყვა მას. შეცვალეს წესები: შემოიღეს თამაშგარე მდგომარეობა, ბურთის გათამაშების ხერხები. რეგბის განვითარების ისტორიაში გადატრიალება მოახდინა პნევმატურად გაბერილმა ბურთებმა, თამაშის ტემპი, დინამიურობა უმაღლეს დონეზე ავიდა. ბურთის სწრაფმა გადაადგილებამ უამრავი ტექნიკური და ტაქტიკური შესაძლებლობა შეუქმნა გუნდებს. ერთი სიტყვით, თამაშმა შეძლო იმ მოთხოვნათა დაკმაყოფილება, რომლებიც მას დრომ წაუყენა. ლელობურთი? იგი კი ისეთივე დარჩა, როგორიც ჩვენი წინაპრების დროს იყო.

დღეს, როცა სპორტულმა მიღწევებმა არნახულ სიმაღლეებს მიაღწია, როცა ლაპარაკია მილიმეტრებზე და წამების მეასედებზე, მაღალ სიჩქარეებსა და ფილიგრანულ ტექნიკაზე, ლელობურთის თამაში თავისი პრიმიტიული წესებით, გატენილი, მძიმე ბურთით ულიმღამო და უინტერესო გვეჩვენება.

რამდენიმე წლის წინ ჩვენ გამოვედით წინადადებით შეგვეტანა ცვლილებები ლელობურთის წესებში (უპირველეს ყოვლისა, შეცვლას მოითხოვს მძიმე, ხუთკილოგრამიანი ბურთი). ეს თავისთავად გამოიწვევს გოლის (ლელოს) გატანის ხერხების შეცვლას, გამოიკვეთება მოთამაშეთა პოზიციები, შეიქმნება ფეხით თამაშის საშუალება, ამაღლდება ტემპი და ა. შ. აუცილებელია თამაშგარე ხაზის მკაცრი დაწესება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელით ბურთით თამაშის არც ერთ ნაირსახეობაში, სადაც არ არსებობს გარბენის წესი და ნებადართულია მოთამაშის ხელით დაჭერა, ბურთით წინ თამაში არ შეიძლება. ამას თამაშში ქაოსი შეაქვს. ამერიკულ ფეხბურთშიც კი, რომელიც ცნობილია თავისი სიმკაცრით, ბურთით წინ თამაში მხოლოდ განსაკუთრებულ სიტუაციებშია დაშვებული. ესეც მხედველობაში უნდა მივიღოთ.

ეს წერილი მიზნად არ ისახავს დაწვრილებით გავარჩიოთ ის, რაც საერთოდ უნდა გაკეთდეს. მთავარია, რეგბი და ლელობურთი რაც შეიძლება მეტად დავუახლოვოთ ერთმანეთს, ვინაიდან ეს ორი თამაში თავიანთი არსით ერთმანეთს ესიტყვება. რეგბი და ლელობურთი არსებითად ძმები არიან და მათი გზები აუცილებლად უნდა შეიყაროს.

დრომ კორექტივები შეიტანა სპორტის ისეთ სახეობათა წესებში, როგორიცაა ჭიდაობა, კალათბურთი, წყალბურთი და თავი შელახულად არც ერთ მათგანს არ უგრძვნია. ლელობურთის ძველი წესების დაცვა კი მხოლოდ ცრუპატრიოტიზმი იქნება. ამ თამაშისადმი ასეთი დამოკიდებულება მიგვიყვანს იქამდე, რომ ერთ დროს ხალხის საყვარელი თამაში სამუზეუმო ექსპონატად იქცევა, როგორც ეს ბევრ სხვა ეროვნულ სახეობას მოუვიდა.

გ. მრელაშვილი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი რეგბიში.

---

იბეჭდება კამათის წესით.

## 14-16 დეკემბერს

თბილისის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში (ჭავჭავაძის პრ. № 1) ჩატარდება საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია სტუდენტთა ფიზიკური აღზრდის საკითხებზე.

კონფერენცია გაიხსნება 16 საათზე.

რეგისტრაცია იწარმოებს იქვე 12 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

„ლელოს" წერილების კვალდაკვალ

### კრიტიკა უკვალოდ არ დარჩენილა

„ლელოს" 28 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში — „ზამთარი თავისას მოგვთხოვს", ლაპარაკი იყო თბილისის „სინათლის" სტადიონის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე. სპორტკლუბ „სინათლის" გამგეობის თავმჯდომარე მ. ჩიკვაიძე გვატყობინებს, რომ წერილი განიხილეს სპორტკლუბ „სინათლის" გამგეობის გაფართოებულ სხდომაზე და დასახეს შესაბამისი ღონისძიება. სტადიონის კედლები უკვე შეკეთდა, სარბენი ბილიკები და სექტორები მოწესრიგდა. მალე დაიწყება სტადიონის რემონტი, შეაკეთებენ ტრიბუნებსა და დამხმარე ნაგებობებს.

სტადიონის კომენდანტს რ. სხირტლაძეს თანამდებობისადმი გულგრილი დამოკიდებულებისთვის გამოეცხადა საყვედური გაფრთხილებით.

გაფრთხილებულია სპორტნაგებობათა გამგე პ. კორძაძე.

### „ჟანგმა ჭამა თოფი..."

ამ სათაურით „ლელოს" 11 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც გაკრიტიკებული იყო თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა. ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი, დოცენტი ვ. ახალაია და ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე გ. ახმეტელაშვილი გვატყობინებენ, რომ ინსტიტუტის პარტბიურომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრასთან ერთად იმსჯელა წერილში მოყვანილი ფაქტების შესახებ და კრიტიკა სწორად მიიჩნია. ამჟამად პროფესორ-მასწავლებლებთან გაიშალა მუშაობა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის. შედგენილია ასაკობრივი ჯგუფები. აღდგენილია ტირი, სადაც მეცადინეობები ტარდება.

სეზონი-72

# გათამაშება ციფრებში

I ლიგის 380 კალენდარულ მატჩს დაესწრო 5 მილიონ 98 ათას 300 კაცი, ესე იგი საშუალოდ თითოეულ მატჩზე 13 ათასზე მეტი მაყურებელი მოდიოდა.

ყველაზე მეტი მაყურებელი — 537 ათასი — დაესწრო „ჩერნომორეცის" გამოსვლებს ოდესაში, ხოლო ყველაზე ცოტა — 49 ათასი — ლენინგრადში, ადგილობრივი „დინამოს" თამაშებს.

ქუთაისელთა 19 მატჩს შინ დაესწრო 323 ათასი მაყურებელი, ხოლო სტუმრად — 98 ათასი.

მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა — 40-40 ათასი—დაესწრო ოდესაში „ჩერნომორეცის" მატჩებს ყარაგანდის „შახტიორთან", „შინიკთან" და „ფახტაქორთან".

გატანილია 895 გოლი, რომლებიც მოდის 223 ფეხბურთელზე (საშუალოდ თითოეულ თამაშზე — 2,4 გოლი). მასპინძლებმა გაიტანეს 585 ბურთი, სტუმრებმა — 310, მასპინძლებმა აიღეს 535 ქულა, სტუმრებმა — 225. დიდი ანგარიშით დამთავრდა 55 შეხვედრა, აქედან სტუმრებმა მოიგეს მხოლოდ 5. სტუმრად ვერც ერთი თამაში ვერ მოიგეს ფრუნზეს „ალგამ" და ზაპოროჟიეს „მეტალურგმა".

## სტატისტიკოსის ბლოკნოტიდან

დაინიშნა 76 პენალტი: 64 სტუმართა და 12 მასპინძელთა კარში. რეალიზებულია 67.

ყველაზე მეტი 11-მეტრიანი საჯარიმო დაარტყეს ტაშკენტელებმა და ბ. აბდურაიმოვმა შეძლო რვავე პენალტის გატანა.

საკუთარ კარში მცველებმა გაიტანეს 12 გოლი.

„ჰეტ-ტრიკი" შეასრულა 10 ფეხბურთელმა, მათ შორის, ქუთაისელმა ჯ. ხერხაძემ და ორჯონიკიძელმა ნ. პაპელიშვილმა.

ყველაზე უდისციპლინო გუნდია ხარკოვის „მეტალისტი" — 4 გაძევება და 7 გაფრთხილება.

მინდვრიდან გააძევეს 8 ფეხბურთელი, გაფრთხილება მიიღო 97 მოთამაშემ, მათ შორის, ცხრაჯერ გააფრთხილეს ქუთაისის ტორპედოელები.

ყველაზე მეტი გოლი (8) გავიდა „ნისტრუსა" და „პამირის" პირველი წრის შეხვედრაში, რომელიც დამთავრდა ფრედ — 4:4.

ლიგის საუკეთესო ბომბარდირია ტაშკენტელი ბ. აბდურაიმოვი, რომელმაც 34 გოლი გაიტანა. სხვა გუნდების საუკეთესო ბომბარდირები არიან: შეპელი („ჩერნომორეცი") — 21, კაიშაური („სპარტაკი", ორჯონიკიძე) — 18, ძაგოევი („სტროიტელი") — 15, კანცუროვი („ალგა"), — 14, ხერხაძე

I ლიგა

(„ტორპედო"), გუბანი („მეტალურგი", ზაპოროჟიე), გულიამჰაიდაროვი („პამირი") — 12-12, კრაევი („კრილია სოვეტოვი"), ა. ნოვიკოვი („შახტიორი", ყარაგანდა), ზელენეცკი („ზვეზდა"), უსოვი („კრივბასი") — 11-11, ბოკატოვი („მეტალისტი"), პროკოპენკო („შახტიორი", დონეცკი), ჟურავლიოვი („ურალმაში") — 10-10, ბელოვი („დინამო", ლენინგრადი) — 9, მიხაილოვი („ნისტრუ"), კოროტკოვი („შინიკი"), დერემოვი („ავტომობილისტი") — 8-8, ემელიანოვი („ტექსტილშჩიკი") — 6 გოლი.

ჯ. ჩაჩავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიური ციკლის პირველი წელიწადი

## სპორტული კალენდარი - 1973

უნივერსიადა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, ევროპული თასების გათამაშებანი, სამატჩო შეხვედრები და რეგატები — აი, არასრული ჩამოთვლა დიდი შეჯიბრებებისა, რომლებიც 1973 წელს გაიმართება სსრ კავშირში. შეიძლება ითქვას, რომ ჯერ არასდროს დაუგეგმავთ ამდენი საერთაშორისო ასპარეზობა საბჭოთა ქვეყანაში. ეს საბჭოეთის სახელმწიფოს სპორტსმენთა ავტორიტეტის აღიარების კიდევ ერთი დასტურია.

მომავალი წლის მთავარ სპორტულ მოვლენად უდავოდ საზაფხულო უნივერსიადა უნდა მივიჩნიოთ, რომელიც პირველად ტარდება სსრ კავშირში — მოსკოვში. მსოფლიოს სტუდენტთა ამ გრანდიოზული ასპარეზობის პროგრამაშია კალათბურთი, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, ფრენბურთი, ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ჩოგბურთი და ფარიკაობა.

სპორტის მოყვარულთა დიდ ინტერესს გამოიწვევს აგრეთვე მსოფლიოს ჩემპიონატები შაიბიან და ბურთიან ჰოკეიში, რომლებიც ასევე მოსკოვში მოეწყობა. საერთაშორისო ტურნირების სეზონს კი სსრ კავშირში ტრადიციულად მოთხილამურეები გახსნიან — იანვარში ლენინგრადის მახლობლად „კავგოლოვოს თამაშები" ჩატარდება. მარტში იქვე იუნიორი მოთხილამურეები ევროპის ჩემპიონატის მედლებს გაითამაშებენ. თვით ლენინგრადში ჩატარდება ევროპის იუნიორ ჰოკეისტთა პირველობა და კონტინენტის თასის გათამაშება წყალში ხტომაში. მოსკოვში, ახალ არხში ევროპის საუკეთესო ნიჩბოსანი „აკადემიკოსები" შეეჯიბრებიან ერთმანეთს. ცხენოსნობის მოყვარულები კიევში ნახავენ ევროპის ჩემპიონატს სამჭიდში.

გაისად რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრება პირველად ჩატარდება. ერთ-ერთი მათგანია მსოფლიო ჩემპიონატი ცურვაში, წყალში ხტომაში, წყალბურთსა და სინქრონულ ცურვაში (ბელგრადი). ამ შეჯიბრებაში საასპარეზოდ უკვე 50 ქვეყნის განაცხადია გაგზავნილი. მეორე სიახლეა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი კრივში. ამ საინტერესო ტურნირში კონტინენტების ნაკრები კოლექტივები გამოვლენ: ორორი — ევროპიდან და ამერიკიდან, თითო — აფრიკიდან, აზიიდან, ავსტრალიიდან და ჩემპიონატის ორგანიზატორი ქვეყნიდან — იაპონიიდან.

პირველად ჩატარდება ევროპის მძლეოსანი მრავალჭიდელების თასების გათამაშებაც (ვაჟები, ცხადია, ათჭიდში იასპარეზებენ, ქალები — ხუთჭიდში). ამ შეჯიბრებებში მონაწილეობის სურვილი უკვე 22 ქვეყანამ განაცხადა. განზრახულია შესარჩევი სტარტების ჩატარება სამ ქვეჯგუფში.

პლანეტის ქალთა და ვაჟთა 8 უძლიერესი ეროვნული ნაკრები გუნდი პერუს დედაქალაქში მოიყრის თავს კალათბურთელთა პირველ მსოფლიო ფესტივალში საასპარეზოდ.

ახალი ოლიმპიური ოთხწლედის პირველი წელიწადი ძალიან მდიდარი იქნება საინტერესო სპორტული მოვლენებით.

**ვ. ხაჩატოვანიანი.**
(საკდესის კორ.).

## უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო შეჯიბრებები

### იანვარი

30. XII-6. I. „მფრინავ მოთხილამურეთა" შეჯიბრება — ოთხი ტრამპლინის ტურნე: ობერსტდორფი და გარმიშ-პარტენკირხენი (გფრ), ინსბრუკი და ბიშოფსჰოფენი (ავსტრია).

11-14. მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრება — „კავგოლოვოს თამაშები". ლენინგრადი.

20-21. 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში საერთაშორისო შეჯიბრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე. ბაკურიანი.

27-28. ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი ციგურებით სწრაფრბენაში. გრენობლი (საფრანგეთი).

### თებერვალი

2-4. ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. თბილისი.

3-4. მსოფლიო ჩემპიონატი სპრინტერულ მრავალჭიდში (ციგურები). ოსლო.

6-11. ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. კიოლნი (გფრ).

9-11. ევროპის ჩემპიონატი საციგაო სპორტში. კიონიგზე (გფრ).

10-11. ევროპის ქალთა ჩემპიონატი ციგურებით სწრაფრბენაში. ბრანდბიუ (ნორვეგია).

14-18. ევროპის ჩემპიონატი პნევმატური იარაღიდან სროლაში. ლინცი (ავსტრია).

15-19. მსოფლიო ჩემპიონატი საციგაო სპორტში. ობერჰოფი (გდრ).

16-26. მსოფლიო ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში. მოსკოვი.

17-18. მსოფლიოს ვაჟთა ჩემპიონატი ციგურებით სწრაფრბენაში. დევენტერი (ჰოლანდია).

22-25. მოთხილამურეთა ტრადიციული შეჯიბრება. ფალუნა (შვეცია).

26-28. მსოფლიო ჩემპიონატი ველოკროსში. დიდი ბრიტანეთი.

26. II-2. III. მსოფლიო ჩემპიონატი ბიატლონში ვაჟთა და იუნიორთა შორის მსხვილკალიბრიანი იარაღით. ლეიკ-პლესიდი (აშშ).

27. II-4. III. მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. ბრატისლავა (ჩეხოსლოვაკია).

### მარტი

2-4. ი. პოდდუბნის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში. მინსკი.

2-4. ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში. კავგოლოვო.

2-4. მოთხილამურეთა ტრადიციული შეჯიბრება. ლაჰტი (ფინეთი).

9-11. მსოფლიო ჩემპიონატი თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში. ობერსტდორფი (გფრ).

9-11. ევროპის რაპირისტ ვაჟთა თასის გათამაშება. პარიზი.

9-11. მსოფლიოს იუნიორთა I ჩემპიონატი ბიატლონში მცირეკალიბრიანი იარაღით. იტალია.

10-11. ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატი დახურულ შენობაში. როტერდამი (ჰოლანდია).

10-12. ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი ძიუდოში. ოსტენდე (ბელგია).

15-18. მოთხილამურეთა ტრადიციული შეჯიბრება. ჰოლმენკოლენი (ნორვეგია).

20-27. ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში. ლენინგრადი.

23-25. ევროპის რაპირისტ ქალთა თასის გათამაშება. ტურინი (იტალია).

25-30. მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე: ვაჟები — ჩელიაბინსკში, ქალები — რიგაში.

31. III-15. IV. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში. მოსკოვი.

### აპრილი

5-8. ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო პირადი შეჯიბრება. რიგა.

5-15. მსოფლიო ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. სარაევო (იუგოსლავია).

6-8. მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი — „ვოლოდიევსკის ხმალი". კატოვიცე (პოლონეთი).

7-8. „ხიბინის გაზაფხული" — ტრამპლინიდან თხილამურებით მხტომელთა და ორჭიდელთა საერთაშორისო შეჯიბრება. კიროვსკი.

7-10. მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი — „ბელორუსიის თასი". მინსკი.

7-13. სამთომოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრება „იალბუზის პრიზი". ტერსკოლი.

13-15. ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ლოზანა (შვეიცარია).

27-29. ევროპის თასის გათამაშება დაშნით ფარიკაობაში. ჰაიდენგაიმი (გფრ).

27-29. ხმლით მოფარიკავეთა შეჯიბრება — „უნგრეთის თასი". ბუდაპეშტი.

### მაისი

9-26. მშვიდობის ველორბოლა. პრაღა — ვარშავა — ბერლინი.

10-13. ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში. მადრიდი.

15-29. კალათბურთის მსოფლიო ფესტივალი. ლიმა.

ევროპის ტანმოვარჯიშე ვაჟთა ჩემპიონატი. გრენობლი.

25-26. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება — „რიგის თასი" (რიგა).

### ივნისი

1-3. „მოსკოვის დიდი რეგატა" (აკადემიური ნიჩბოსნობა). მოსკოვი.

1-3. ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. ჰელსინკი.

1-9. ევროპის მოკრივეთა ჩემპიონატი. ბელგრადი.

3-5. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „პრავდის" პრიზზე. მოსკოვი.

9-17. ევროპის ძალოსანთა ჩემპიონატი. მადრიდი.

16-17. სსრ კავშირისა და გფრ-ის მძლეოსანთა მატჩი. ლენინგრადი.

20-23. მსოფლიო ჩემპიონატი სანიჩბოსნო სლალომში. შვეიცარია.

ველოსიპედისტთა საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცის" პრიზზე. მოსკოვი.

ევროპის ჩემპიონატი შაშში. იტალია.

22-24. მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში. ლოზანა (შვეიცარია).

### ივლისი

2-12. მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში. გეტებორგი (შვეცია).

16. VII-5. VIII. ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი. ტისაიდი (ინგლისი).

20-22. ევროპის თასის გათამაშება წყალში ხტომაში. ლენინგრადი.

20-29. აფროსანთა ტრადიციული შეჯიბრება — „ბალტიის რეგატა". ლენინგრადი.

24-25. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა მატჩი. დონეცკი.

24-27. მსოფლიო ჩემპიონატი მშვილდოსნობაში. გრენობლი.

26-29. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში. ტამპერე (ფინეთი).

27-28. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების იუნიორ მძლეოსანთა ნაკრები გუნდების მატჩი. ხარკოვი.

### აგვისტო

3-5. ძმები ზნამენსკების მემორიალი. ლენინგრადი.

9-12. ევროპის გოგონათა და ჭაბუკთა ჩემპიონატი ცურვაში. დიდი ბრიტანეთი.

14-25. საზაფხულო უნივერსიადა. მოსკოვი.

17-19. მსოფლიოსა და ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი სანიჩბოსნო სლალომში. პოლონეთი.

18. VIII-2. IX. ჰოკეისტთა ტრადიციული შეჯიბრება გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე. ლენინგრადი, მინსკი, რიგა, სვერდლოვსკი.

22. VIII-2. IX. ევროპის ქალთა და ვაჟთა ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში. მოსკოვი.

24-26. ევროპის იუნიორ მძლეოსანთა ჩემპიონატი. დუისბურგი (გფრ).

27-28. ევროპის თასის გათამაშება ცურვაში. უტრეხტი (ჰოლანდია).

მსოფლიო ჩემპიონატი ველოსპორტში (ტრეკი და გზატკეცილი). სან-სებასტიანი (ესპანეთი).

მსოფლიოს მოკრივეთა გუნდური ჩემპიონატი. ოსაკა (იაპონია).

მსოფლიო ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში. ჰოლანდია.

ევროპის იუნიორ ველოსიპედისტთა ჩემპიონატი (ტრეკი). გფრ.

### სექტემბერი

6-9. მსოფლიო ჩემპიონატი ცურვაში, წყალში ხტომაში, წყალბურთში და სინქრონულ ცურვაში. ბელგრადი.

6-9. ევროპის ჩემპიონატი ცხენოსნურ სამჭიდში. კიევი.

6-14. მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. თეირანი.

7-9. ევროპის თასის გათამაშება მძლეოსნობაში (ფინალი). ედინბურგი.

15-25. ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი. ჰავანა.

20. IX-2. X. ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიო თასის გათამაშება. ჩეხოსლოვაკია.

22-23. მძლეოსან მრავალჭიდელთა ევროპული თასის გათამაშების ფინალი. ბონი.

28. IX-6. X. ევროპის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატი. ბადალონა და ბარსელონა (ესპანეთი).

### ოქტომბერი

15-16. ევროპის ტანმოვარჯიშე ქალთა ჩემპიონატი. ლონდონი.

მესტენდურეთა მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალია.

მოშაშეთა მსოფლიო ჩემპიონატი. პოლანდია.

ფრენბურთელ ქალთა მსოფლიო თასის გათამაშება. მონტევიდეო.

### ნოემბერი

15-18. მსოფლიო ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში. როტერდამი.

ხელბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი. იუგოსლავია.

### დეკემბერი

1-5. მოკრივეთა ტრადიციული შეჯიბრება. ლენინგრადი.

ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე. მოსკოვი.

• • •

შენიშვნა: ზოგიერთი შეჯიბრების კონკრეტული ადგილი და თარიღი ჯერ დაუდგენელია.

## მთავარია ტურნირებში მონაწილეობა

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა კოლექტივი (სპი) გულმოდგინედ ემზადება მომავალი სეზონისთვის. საკავშირო პირველობის სტარტს ეს გუნდი მხოლოდ 23 იანვარს აიღებს, მანამდე დარჩენილ დროს კი კალათბურთელები ინტენსიურ წვრთნასა და შეჯიბრებებში მონაწილეობას ანდომებენ.

ერთი ასეთი ტურნირი, რომელიც ძალების შემოწმებას ისახავდა მიზნად, დეკემბრის პირველ რიცხვებში კაუნასში გაიმართა. „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს გათამაშებამ თავი მოუყარა უმაღლესი ლიგისა და „ა" კლასის პირველი ჯგუფის 3-3 გუნდს. ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოდნენ ლენინგრადის „ბურევესტნიკი", ალმა-ათის „უნივერსიტეტი" და კაუნასის „პოლიტექნიკა" (ყველა — უმაღლესი ლიგიდან), აგრეთვე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი, ტაშკენტის „უნივერსიტეტი" და როსტოვის „ბურევესტნიკი" (ყველა — „ა" კლასის პირველი ჯგუფიდან).

თბილისელმა კალათბურთელებმა ტურნირში III ადგილი დაიკავეს ლენინგრადისა და ალმა-ათის კალათბურთელების შემდეგ. საინტერესოა აღინიშნოს ჩვენი გუნდის დამაჯერებელი თამაში ზოგიერთ მატჩში. მაგალითად, სპი-მ ყველაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა გამარჯვებულ კოლექტივთან ბრძოლაში, პირველი ტაიმი თბილისელებმა 3 ქულით წააგეს, მაგრამ შეხვედრის მეორე ნახევარში ძალა მოიკრიბეს და საბოლოოდ გაიმარჯვეს — 57:55. სპი-მ მოიგო კიდევ ორი მატჩი: კაუნასის „პოლიტექნიკასთან" — 58:57 (32:27) და ტაშკენტის „უნივერსიტეტთან" (რ. სალიმოვას გუნდთან) — 62:45 (34:19).

თბილისელებს უკეთესი შედეგის მოპოვებაც შეეძლოთ, მაგრამ ერთ შეხვედრაში აშკარად უმტყუნათ ბედმა. ეს მოხდა როსტოველებთან მატჩში. პირველ ტაიმში უმნიშვნელო უპირატესობა როსტოველთა მხარეს იყო — 30:28. შესვენების შემდეგ თბილისელებმა მდგომარეობა გაათანაბრეს. ძირითადმა დრომ უძლიერესი ვერ გამოავლინა — 57:57. დაინიშნა დამატებითი ხუთწუთიანი ტაიმი, რომელმაც მინიმალური უპირატესობა როსტოველებს მოუტანა — 62:61.

ჩვენმა გუნდმა შედარებით სუსტად ჩაატარა ბრძოლა ალმა-ათის „უნივერსიტეტთან" (54:66) და საბოლოოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, III საპრიზო ადგილს დასჯერდა.

ამ დღეებში „ლელოს" კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ლ. ძეკონსკი.

„როგორც მოგეხსენებათ, ორიოდე წლის წინ ჩვენმა კოლექტივმა დატოვა უმაღლესი ლიგა. ამ წარუმატებლობას, რა თქმა უნდა, ჰქონდა თავისი მიზეზები, მაგრამ ახლა ნუ დავუწყებთ მათ ჩხრეკას. მოხდა უსიამოვნო ამბავი და ჩვენ იმ კოლექტივთა რიცხვში აღმოვჩნდით, რომლებიც კარგი ტრადიციების დასაბრუნებლად იბრძვიან. დღეს ჩვენი მთავარი ამოცანა შემადგენლობის ძიება და დაზუსტებაა. ამ მიზნით ვთამაშობთ ყველა ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვან ტურნირში. წინა წლებთან შედარებით აშკარად იგრძნობოდა შემადგენლობის სტაბილიზების ტენდენცია, რაც ყველას გვახარებს. ახლა ბევრი რამ არის დამოკიდებული შემადგენლობის შერწყმასა და შედუღაბებაზე. ვფიქრობ, ამ მხრივ ცუდად არ მიდის საქმე. საკავშირო ჩემპიონატის დაწყებამდე ჩვენთვის მთავარია რაც შეიძლება ბევრ ტურნირში მონაწილეობა".

19 დეკემბერს კიშინიოვში იწყება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირი, რომელშიც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებთან ერთად გამოვლენ ადგილობრივი „მოლდოვა", მოსკოვის „დინამო", პენზის „სპარტაკი", დნეპროპეტროვსკის „სტალი" და ნოვოსიბირსკის „დინამო".

რაც შეეხება საკავშირო პირველობას, იგი დაიწყება 23 იანვარს თბილისსა და ფრუნზეში. თბილისის ტურში იასპარეზებენ: „დინამო" (ნოვოსიბირსკი), „სპარტაკი" (პენზა), „მოლდოვა" (კიშინიოვი), „ავანგარდი" (დონეცკი), „ბურევესტნიკი" (ბაქო), სპი (თბილისი), „ბურევესტნიკი" (დონის როსტოვი) და დუშანბეს გუნდი.

თბილისისა და ფრუნზეს ტურიდან პირველ ოთხ ადგილზე გასული კოლექტივები მომდევნო ეტაპზე წრიული სისტემით შეეჯიბრებიან ერთმანეთს. დაწინაურებული კვარტეტი 15 აპრილიდან გადამწყვეტ შეხვედრებს დაიწყებს, ეს მატჩები კი დაასახელებს ორ გუნდს, რომლებიც 1974 წელს უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ.

**ნ. გუგუშვილი.**

## მწვრთნელი კმაყოფილია

როგორც „ლელოს" 9 დეკემბრის ნომერში ვიუწყებოდით, რიგაში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში. გთავაზობთ ამ შეჯიბრების საბოლოო შედეგებს:

I. ა. ანდრეიკო (რიგა) — 13 ქულა, II-III. ა. განტვარგი (მინსკი), ლ. სლობოდსკოი (ხარკოვი)—12-12, IV. მ. კორხოვი (ოდესა) — 11,5, V-VI. ი. კუპერმანი (კიევი), ვ. შჩოგოლევი (მოსკოვი)—11-11, VII-XI. ა. ბეზვერშენკო, ე. პომერანეცი (ორივე — კიევი), ვ. ვეიცმანი, ა. კირეევი (ორივე — ლენინგრადი), ნ. მიშჩანსკი (დონეცკი) — 10-10, XII. ა. ჩულკოვი (მოსკოვი) — 9,5, XIII. ვ. აგაფონოვი (მოსკოვი)—9, XIV-XVI. ვ. ბელორიცკი, მ. შაველი (ორივე — მინსკი), ლ. ციპესი (ხარკოვი) — 8,5-8,5, XVII-XVIII. ს. გულიაევი (ტაშკენტი), ნ. აბაციევი (მოსკოვი) — 7,5-7,5, XIX. ე. მერინსი (რიგა) — 6, XX. ტ. მეხტიევი (ბაქო) — 4,5.

ამ ტურნირში მონაწილეობით სსრ კავშირის შვიდგზის ჩემპიონი, დიდოსტატი ანდრეიკო შეუდგა მზადებას მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის ჰოლანდიელ ტ. სეიბრანდსთან მატჩრევანშის სათამაშოდ. მატჩი გაისად გაიმართება ჰოლანდიაში.

ანდრეიკოს მწვრთნელმა, ლატვიის სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა პ. ფრეიდენფელდმა თქვა: „ანდრეიკომ კარგად გაართვა თავი მის წინაშე დასმულ ამოცანას — ძალის უკიდურესად დაძაბვით ითამაშა პირველი ათი პარტია".

## 10 საუკეთესო

თბილისის კალათბურთის ფედერაციამ და მსაჯთა კოლეგიამ დაამტკიცეს ქალაქის 10 საუკეთესო მსაჯის სია (სიძლიერის მიხედვით). აი, ეს ათეული:

1. რ. ხომერიკი, 2. ვ. ჯაფარიძე, 3. მ. ქურიძე, 4. გ. ავალიშვილი, 5. ბ. ნიკურაძე, 6. კ. კალანდაძე, 7. ო. სტურუა, 8. მ. ბაგრატიონი, 9. რ. რუხაძე, 10. გ. მიქაელიანი.

# ისევ დიდი ანგარიშით

**სინგაპური, 10 დეკემბერი.** თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა აქ ისევ დიდი ანგარიშით გაიმარჯვა, ამჯერად სინგაპურის ნაკრებს სძლია — 6:0 (2:0).

მასპინძელთა კარში ბურთები გაიტანეს გუცაევმა, ლ. ნოდიამ (2-2), მაჩაიძემ და რეხვიაშვილმა.

8 ათასზე მეტმა მაყურებელმა, რომელმაც ადგილობრივი სტადიონი აავსო, ტაშით გააცილა სტუმრები. ეს იყო „დინამოს“ გამოსათხოვარი მატჩი ამ ქვეყანაში.

# ვოლეიბოლი-72

● **ჟენევა, 10 დეკემბერი.** ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში წარმატებას მიაღწია ვოროშილოვგრადის „ზარიას“ ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა: მან ორივე მეოთხედფინალური მატჩი მოუგო ადგილობრივ „სერვეტს“ ერთნაირი ანგარიშით — 3:0 (15:4, 15:8, 15:7 და 15:5, 15:5, 16:14).

● **მოსკოვი, 10 დეკემბერი.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების დღეს აქ გამართულ შესარჩევ მატჩში ცსკა-ს ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა ანგარიშით 3:0 (15:5, 15:8, 15:8) სძლია ბუქარესტის „დინამოს“. ამ კოლექტივთა საპასუხო შეხვედრა ერთი კვირის შემდეგ მოეწყობა ბუქარესტში. ამ წყვილის მატჩებში გამარჯვებული ნახევარფინალური ტურნირის საგზურს მოიპოვებს, ფინალში გასასვლელად კი ორ ნახევარფინალურ ტურნირში 4-4 კლუბი იბრძოლებს.

# თასები, თასები...

## „სპარტაკი“ — ნახევარფინალში

**ლენინგრადი, 10 დეკემბერი.** ადგილობრივი „სპარტაკის“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდი დღეს აქ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების განმეორებითს მეოთხედფინალურ მატჩში შვეციის „სოლნას“ შეხვდა. ლენინგრადელებმა ისევ გაიმარჯვეს, ამჯერად ანგარიშით 104:64 (39:21).

ლენინგრადელი კალათბურთელები ნახევარფინალში გავიდნენ.

## სხვა შეხვედრები

გაიმართა ევროპის კალათბურთელთა საკლუბო ტურნირების რამდენიმე კალენდარული შეხვედრა.

აი, ჩემპიონთა თასის გათამაშების მონაწილე ვაჟთა გუნდების მატჩების შედეგები:

ტირანა. ადგილობრივმა „პარტიზანმა“ იუგოსლავიის ჩემპიონს — ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ უმასპინძლა. იუგოსლაველებმა ტაიმი 3 ქულის სხვაობით მოიგეს — 40:37. შესვენების შემდეგ სტუმრების უპირატესობა უფრო ცხადი გახდა. იუგოსლაველებმა გაიმარჯვეს — 94:83. მეტოქეები ერთხელ კიდევ შეხვდებიან ერთმანეთს, ამჯერად — ბელგრადში.

ანტვერპენი. ბელგიის ჩემპიონმა „რესინგ-ფორდმა“ დაამარცხა ბუქარესტის „სტიაუა“ — 80:76. ბრძოლა უაღრესად მძაფრი და დაძაბული იყო. მაგალითად, მასპინძლებმა პირველი ტაიმი მხოლოდ ერთი ქულის უპირატესობით მოიგეს — 40:39.

საპასუხო მატჩი ბუქარესტში გაიმართება.

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი „სლავია“ ტურნირის შემდგომ ეტაპზე გავიდა. მართალია, მან პირველი შეხვედრა საფრანგეთის „ვილერბანთან“ წააგო (63:66), მაგრამ აქ გამართულ განმეორებითს ორთაბრძოლაში „სლავიამ“ რვაქულიან უპირატესობას მიაღწია — 90:82 (53:37).

• • •

თასების მფლობელთა თასის გათამაშების კალენდარული მატჩები ვაჟთა გუნდებს შორის ასე დამთავრდა:

ვროცლავი. პოლონეთის თასის მფლობელმა „შლიონსკმა“ მილანის „მობილკუატროს“ უმასპინძლა. პირველი ტაიმი იტალიელებმა მოიგეს — 33:29. შესვენების შემდეგ პოლონელები გააქტიურდნენ და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც — 69:60.

ეს წარმატება პოლონელი კალათბურთელებისთვის ჯერ კიდევ არ წარმოადგენს საბოლოო გამარჯვების გარანტიას: იტალიელები შინ ტრადიციულად კარგად თამაშობენ და, რა თქმა უნდა, რევანშის აღებას შეეცდებიან.

ბრნო. ჩეხოსლოვაკიის თასის მფლობელმა — ადგილობრივმა „სპარტაკმა“ დაამარცხა საბერძნეთის უძლიერესი კლუბი — პირეოსის „ოლიმპიაკოსი“ — 76:74 (34:42).

ჩეხოსლოვაკიელები გავიდნენ გათამაშების შემდგომ ეტაპზე, ვინაიდან პირველი შეხვედრაც მოიგეს (94:87).

# ბენქსი იმედოვნებს

როგორც ვიუწყებოდით, ინგლისის ნაკრებისა და „სტოკ-სიტის“ სახელგანთქმული მეკარე გორდონ ბენქსი საავტომობილო კატასტროფაში მოჰყვა და მისი ფეხბურთელობა სათუო გახდა. ახლა ბენქსი ბევრად უკეთ გრძნობს თავს და მოუთმენლად ელის იმ დღეს, როცა თვალის ექიმები მას ვარჯიშის ნებას დართავენ.

34 წლის მეკარეს დაშავებული მარჯვენა თვალით უკვე შეუძლია რამდენიმე ნაბიჯზე საგნების გარჩევა. მან თქვა:

„ჩემი საქმე სულ უკეთ და უკეთ მიდის და იმედი მაქვს, რომ კვლავ დავუბრუნდები ჩემს საყვარელ თამაშს“.

უკიდურეს შემთხვევაში, თუ ისე მოხდა, რომ თვალი არ მოურჩა, ბენქსი შეეცდება ერთი ჯანსაღი თვალით ითამაშოს, მაგრამ ცნობილი ოკულისტები იმედიანად უყურებენ მის მომავალს და ამბობენ, ყველაფერი კარგად დამთავრდებაო.

ბენქსს მიაჩნია, რომ სპორტული ფორმის აღსადგენად გასკეცებული ვარჯიში მოუწევს. „თავს არ დავზოგავ ჩემი კლუბის კეთილდღეობისთვის. განსაკუთრებით ინტენსიურად ვივარჯიშებ. ეს, კაცმა რომ თქვას, ხომ ყოველი ფეხბურთელის უპირველესი მოვალეობაა“, — განაცხადა მეკარემ.

იანვარში ბენქსს ალბათ უკვე დართავენ ვარჯიშის ნებას.

(საქ. ინფ.).

## ახალი საფოსტო მარკები

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი ორი საფოსტო მარკა გამოუშვა. ერთ მათგანზე ოლიმპიური ჯილდოების გამოსახულების გვერდით ასეთი სიტყვებია: „საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს 50 ოქროს, 27 ვერცხლის, 22 ბრინჯაოს მედალი“.

მეორე მარკაზე წითელი დროშისა და ტრადიციული ხუთი რგოლის ფონზე გამოსახულია ნამგალი და ურო. მარკის ზედა ნაწილზე ასეთი მოწოდებაა: „დიდება საბჭოთა სპორტსმენებს!“.

გამოშვებულია აგრეთვე XX ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი საფოსტო ბლოკი.

# ყველაზე გრძელი საათი




ცნობილია: მშობლებს ხშირად მეექვსე გრძნობა უჩნდებათ, როცა საქმე მათი შვილების მომავალს ეხება. მერქსის მშობლებს იმედი ჰქონდათ, რომ მათი ვაჟი კარგი მუსიკოსი დადგებოდა და ამ სფეროში გაითქვამდა სახელს, ამიტომ გადაწყვიტეს შვილი პაგანინის მაგალითზე გაეზარდათ — ვიოლინო უყიდეს და მასწავლებელიც დაუქირავეს. რათა დამოუკიდებლად მეცადინეობა შესძლებოდა, მშობლების სახლში, პატარა ქალაქ ჯოლიუვში ედის განცალკევებული ოთახი გამოუყვეს. ედის მაშინ გაგონილიც არ ჰქონდა პაგანინის გვარი, მაგრამ ზეპირად იცოდა ყველაფერი რიკ ვან სტეენბერგენზე და სტენ ოკერსზე, თავის კერპებზე ველოსპორტში. ამიტომ მან მშობლებს განუცხადა: „კარგი, ვიმეცადინებ მუსიკაში, ოღონდ სარბოლო ველოსიპედი მიყიდეთ. სიტყვას გაძლევთ, მარტო კვირაობით ვისეირნებ“.

ველოსიპედი რომ უყიდეს, ედიმ თავისი პატარა „არტისტული ატელიე“ მექანიკურ სახელოსნოდ აქცია. „ერთ საღამოს, — გვიამბობს მექანიკოსი ერნესტო კოლნაგო, რომელმაც მერქსს გაუკეთა მარგალიტი-ველოსიპედი ოლე რიტერის მსოფლიო რეკორდის დასამხობად, — მერქსებს სტუმრები ეწვივნენ. მშობლებმა პირშოს მუსიკალური ნიჭით თავის მოწონება მოიხდომეს და სტუმრებს ამაყად გამოუცხადეს: ედი გვიჩვენებს, რა ისწავლაო. „აბა, ედი, დაგვიმტკიცე, რომ ყოჩაღი ბიჭი ხარ!“

ედი თავის ოთახში გავიდა, მაგრამ უკან ვიოლინოს მაგიერ ველოსიპედით ხელდამშვენებული დაბრუნდა. მან სარეკორდო დროში — 12 წუთში დაშალა და ააწყო მთელი ველოსიპედი სახტად დარჩენილი მშობლებისა და სტუმრების თვალწინ, რომელთაც აღარ იცოდნენ, ტაში დაეკრათ თუ შეწუხებული მასპინძლების მწუხარება გაეზიარებინათ. ედი მერქსმა პირველად ამგვარად გამოხატა პროტესტი მუსიკის წინააღმდეგ“.

„რასაკვირველია, ედისთანა ბიჭისთვის ველოსიპედის ასეთი სიყვარული მანიად იქცა, — განაგრძობს კოლნაგო. — ედი რომ სიმპათიური მანიაკია, ამას ჩვენი პირველი შეხვედრისთანავე მივხვდი. როგორც კი ერთმანეთი გავგვაცნეს, ედიმ მოულოდნელად მკითხა: „რამდენი ნაწილი აქვს ჩემს ველოსიპედს?“ „1198“, — მივუგე მე და ვიგრძენი, ცივმა ოფლმა დამასხა. „არა, 1214, — მიპასუხა მან. მე ჯაჭვს ორი რგოლი დავუმატე“ (ყოველ რგოლში 8 დეტალია. — მთარგმნელი).

„სახტად დავრჩი. მაგრამ ედიმ ხელი ჩამომართვა და მითხრა: დავრწმუნდი, რომ პირველი კლასის მექანიკოსი ხართ, რადგან დეტალების რიცხვი ზუსტად და დაუფიქრებლად დამისახელეთო. იმ დღიდან ძილი აღარ მაქვს და მოსვენება. ხშირად ღამეს თეთრად ვათენებ მერქსის ველოსიპედთან. დამერწმუნეთ, ეს უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე მილანის საერთაშორისო აეროპორტ ლინატეში დისპეტჩერად მუშაობა“.

ერთსაათიან რბოლაში რეკორდის დამყარების იდეა მერქსს „ტურ დე ფრანსის“ დროს გაუჩნდა. მაშინვე მოიფიქრეს ახალი ველოსიპედის შექმნა, რომლის წონაც 5800 გრამზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. მერქსმა კოლნაგოს ჰკითხა: „შეიძლება გაკეთდეს ველოსიპედი, რომელიც წონით 5800 გრამზე მეტი არ იქნება?“

„არა“, — უპასუხა კოლნაგომ.

„ძალიან კარგი. მე ეს ველოსიპედი ოქტომბრისთვის დამჭირდება. ერთსაათიან რბოლაში რეკორდი უნდა დავამყარო“.

„კეთილი და პატიოსანი, — მიუგო კოლნაგომ, — ოღონდ 5800 გრამი ძალიან ბევრია. 5500 იყოს“.

„ვითომ გამოვა?“, — ჰკითხა მერქსმა.

„არა, მაგრამ ვეცდები“.

„გიჟი ხარ“, — უთხრა ედიმ.

„გიჟი რატომ, მე მსოფლიოში საუკეთესო ველოსიპედების კონსტრუქტორი ვარ და თან ლომბარდიელი გახლავარ, ისიც კამბიაგოელი ლომბარდიელი“.

ამ 5800-გრამიან ველოსიპედზე ისე ვოცნებობდი, როგორც დედა ელის შვილის პირველ თვალის ახელას. თვალწინ მეხატებოდა მსუბუქი, კოხტა, ჰაეროვანი ველოსიპედი, ბისკვიტის ნაჭერი, მანქანა კი არა. უკვე ვხედავდი ცარცის ქაღალდივით ფაქიზ მილებს, ფოთოლივით მსუბუქ საჭეს, ნეკის წვერით რომ ასწევდა კაცი. მთელი ველოსიპედი თითქოს თამბაქოს კვამლის ჰაეროვანი ნაკადებით იყო ნაგები, ოღონდ ჯავშნოსნის სიმტკიცე ჰქონდა“.

მისი სახელოსნო (კედლებზე ჰკიდია ბინდის, კოპის, ბარტალის, მანიის პორტრეტები, მათ შუა კი ნახშირით ნახატი ემბლემა ველოსიპედის ბორბლით და ლათინური წარწერით: „პედალების ტრიალი აუცილებელია“) ნამდვილ ველოლაბორატორიად იქცა, რომლის მსგავსი ევროპას ჯერაც არაფერი ენახა.

„უამრავი პრობლემა მაწუხებდა, — ამბობს კოლნაგო. — ჯერ ბუზის წონის ჩარჩო უნდა გამეკეთებინა (ბუზის კი არა, მიკრობის წონისა). მას ნებისმიერი ვიბრაციისთვის უნდა გაეძლო, რათა მერქსის მონდომების თუნდაც მეათასედიც უკვალოდ არ დაკარგულიყო. წინა ჩანგალს ოდნავაც არ უნდა დასტყობოდა ელასტიკურობა, უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო მერქსის ჯდომის მაქსიმალური აეროდინამიკურობა, მინიმუმამდე უნდა შემცირებულიყო ჭანჭიკების რიცხვი“.

მერე მერქსმა რეკვა დაიწყო.

„ისეთი ველოსიპედი არ გამიკეთო, რომ ათ მეტრში დამემტვრეს. ჩემს წონაზეც იფიქრე. მანები ხომ არ დაგავიწყდა?“.

„დარდი ნუ გაქვს, მე ყველაფერზე ვიფიქრე. 32 გადაჯვარედინებული მანა უკანა ბორბლისთვის, 28 კი ცალ-ცალკე წინასთვის“.

„ჯაჭვი? ჯაჭვს რა ვუყოთ?“

„ჯაჭვზეც ვიფიქრე. რგოლების შემაერთებელი ყველა ფირფიტა უნდა გავბურღო“.

ედი ღამითაც მირეკავდა: „ერნესტო, უნაგირის კარკასის საქმე როგორ არის?“

„ალუმინისგან გავაკეთებ, — ჩავძახოდი ყურმილში, — ოღონდ ახლა თავი დამანებე“.

ერთ საღამოს ტელევიზორით ბურატინოზე გადაცემა ვნახე. დილით მეგონა, სახელოსნოში როგორც კი შევალ, ჩემი ველოსიპედი ადამიანის ხმით გამომელაპარაკება-მეთქი“.

მუშაობა რომ დამთავრდა, მერქსი სახელოსნოში მივიდა, ველოსიპედი ყურადღებით დაათვალიერა, აწონა, მილიმეტრობით შეამოწმა, მერე მექანიკოსს მიუბრუნდა და უთხრა: „გიგანტი ხარ!“

კოლნაგო ტანმორჩილი კაცია, ჩამრგვალებული. შუბლზე ჩამოყრილი თმა პატარა ბიჭს ამსგავსებს. გიგანტი მისთვის თავის დღეში არავის უწოდებია და ახლა გული აუჩუყდა.

„რა გემართება, — ჰკითხა მერქსმა, — აღელვებული ხარ?“

„ვინა, მე? — მიუგო კოლნაგომ, თუმცა თვალები საეჭვოდ უციმციმებდა და ყელშიც თითქოს ბურთი ჰქონდა გაჩრილი, — შენ გგონია, ვღელავ?“

„და მაშინ, რათა არ ავტირებულიყავი, — ამბობს მსოფლიოში ყველაზე უკეთესი ველოსიპედის შემქმნელი, — დეკლამირება დავიწყე: საჭეს ოვალთან ნახვრეტები აქვს, კბილანები, ბარბაცები და ტიტანისგან გაკეთებული საჭის ღერო მანეკენი ქალის წელზე წვრილია, წინა მილი 90 გრამია, უკანა — 110, ჩარჩოს მილები ადამიანის წამიერ ფიქრზე მსუბუქია“.

„ედი მისმენდა, მაგრამ ამ წუთში ის აქ აღარ იყო, უკვე ტრეკზე დაჰქროდა ახალი ველოსიპედით. იმ დღეს ედიმ თავის გონებაში უკვე დაამყარა მსოფლიო რეკორდი. მე ვკითხე: „რამდენს გაივლი საათში, 50 კილომეტრი?“. ედი გამოფხიზლდა: „წამო, წავიდეთ, ვნახოთ, როგორ დაგორავს შენი ურემი“.

„მოულოდნელად ისე ვიგრძენი თავი, როგორც საქორწინო მოგზაურობის წინ: არ ვიცოდი, რა მელოდა, ბედნიერება თუ უბედურება“.

ედი მერქსმა მექსიკაში ჩაიტანა კოლნაგოს ნახელავი ძვირფასი ნივთი. მან იცის, რომ მსოფლიო რეკორდს დაამყარებს. დარწმუნებული რომ არ იყოს, არც ეცდებოდა. დანიელი ოლე რიტერის რეკორდი 48 კილომეტრი და 653 მეტრია. ედიმ შეიძლება 49 კილომეტრს მიაღწიოს, ან გადალახოს კიდეც ეს ზღვარი.

**ჯანი რანიერი.**

„პაეზე სერადან“ (იტალია).

თარგმნა მ. ბარამიამ.

• • •

ეს სურათი ედი მერქსმა მ. ბარამიას უსახსოვრა თავისი ავტოგრაფით.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 02782